მოგახსენებთ, რომ ნაკვეთზე გამავალი ხაზობრივი ნაგებობა (ინტერნეტ ქსელი) წარმოადგენს სს “სილქნეტის“ საკუთრებას.

ხაზობრივი ნაგებობა ჰყვება საპროექტო შენობის განთავსების არეალში, შესაბამისად მივმართეთ სს „სილქნეტს“ ქსელის გადატანასთან დაკავშირებით, რაზედაც გამოთქვეს მზადყოფნა.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სს „სილქნეტთან“ ხელშეკრულების გაფორმება აღნიშნული ქსელის გადატანის სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით და პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის აღების ეტაპზე გადატანილი იქნება ქსელი შენობის განთავსების არეალიდან.

სილქნეტი
SILKNET

№ 602/09-9 "04" 06 2021

ბატონ ავთანდილ ლომსაძეს

მისამართი: საქართველო, თბილისი, სვანეთის ქ. #23

საკონტაქტო: 595584889

ბატონო ავთანდილ,

2021 წლის 2 ივნისს, სს „სილქნეტში" შემოვიდა თქვენი წერილობითი განცხადება, (N 9/2433), ქ. თბილისი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქ. #21-ში, (ს/კ: 01.15.05.014.013) სს „სილქნეტის" საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ელემენტების გადატანის და მასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების შესახებ.

2007 წლის 04 ივნისის საქართველოს მთავრობის N134 დადგენილების საფუძველზე, საკომუნიკაციო ელემენტები წარმოადგენენ სპეციალური დაცვის ქვეშ მყოფ სახაზო ნაგებობებს. შესაბამისად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეკრძალებათ, მათ მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაში განთავსებული (გამავალი) ხაზობრივი ნაგებობების თვითნებურად გადატანა და მასთან დაკავშირებული სხვა სახის სამუშაოების ჩატარება, სახაზო ნაგებობების მფლობელი იურიდიული პირის მიერ დადგენილი პროცედურების წესების დაცვის და წერილობითი თანხმობა/ნებართვის გარეშე.

შესაბამისად, იმისთვის რომ თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, განხორციელდეს საკომუნიკაციო ელემენტების გადატანითი სამუშაოები, აუცილებელია ჩვენმა კომპანიამ განახორციელოს აღნიშნული სამუშაოების სათანადო პროექტის მომზადება, რომლის მომზადების ღირებულებაც განისაზღვრება სს „სილქნეტში" დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. მომზადებული პროექტით განისაზღვრება ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულება.

პროექტის მომზადების შემდგომ, თქვენი მოთხოვნის და სს „სილქნეტისთვის" პროექტით განსაზღვრული სამუშაოების ღირებულების გადახდის შემთხვევაში, ჩვენი კომპანია უზრუნველყოფს პროექტით გათვალისწინებული საკომუნიკაციო ელემენტის გადატანას აღნიშნული სამუშაოების ჩატარების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

პატივისცემით,

აკაკი რამიშვილი

საცალო გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი